ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

18 ივლისი
ხუთშაბათი
2024 წელი
№29 (9343)
ფასი 40 თეთრი

დახმარებები ბენეფიციარებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში ივნისში 1 172 ბენეფიციარს 268 648 ლარის დახმარება გაეწია.

მათ შორის:

- **164 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 130 007 ლარი გამოიყო;**
- **120 ბენეფიციარი მედიკამენტების შესაძენად 22 224 ლარით დაფინანსდა;**
- **ონკოლოგიური დაავადებების მქონე 32 პაციენტი 24 824 ლარით დაფინანსდა;**
- **109 მრავალშვილიან ოჯახს 26 200 ლარი გამოეყო;**
- **307 ოჯახი კომუნალური გადასახადებისათვის 11 400 ლარით დაფინანსდა;**
- **100 წელს გადაცილებულ 2 მოქალაქეს 200-200 ლარი ჩაერიცხა;**

ასევე, სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვებმა.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება, რომელთა მთავარი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის ხელშეწყობა და გაუმჯობესებაა.

ანსამბლ „ბორჯომის“ სასიამოვნო რეპერტუარი

ანსამბლი „ბორჯომი“ რეგიონულ ტურნეს იწყებს. ქართულ ხალხურ სიმღერებს ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ადგილობრივ ანსამბლებთან ერთად შეასრულებენ. რეგიონების შემდეგ ანსამბლი „ბორჯომი“ თბილისში გამართულ კონცერტზე წარსდგება საკუთარი რეპერტუარით. ანსამბლის წევრები რეპეტიციებს თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში გადიან. მათი მხარდამჭერი ბორჯომის მუნიციპალიტეტია.

ანსამბლის ხელმძღვანელის **გიორგი (გოგიტა) მუგიანიშვილის** განცხადებით, სამომავლოდ სურვილი აქვთ რეგიონში არსებული ანსამბლები ბორჯომში მოიწვიონ და მსმენელებს ერთობლივი კონცერტი შესთავაზონ. წლის ბოლომდე ანსამბლი მაყურებელს კიდევ არაერთ სიახლეს და სიურპრიზს პირდება. ანსამბლი „ბორჯომი“ უკვე ნახევარი საუკუნეა სცენაზეა.

ოქროს ვარსკვლავი ბათუმიდან

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია, ჯგუფ „სილუეტს““ ულოცავს „”ოქროს ვარსკვლავის““ მოპოვებას.

ბათუმში გამართულ ფესტივალზე, ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა თანამედროვე და სპორტული ცეკვების ჯგუფმა “„სილუეტმა““ “ოქროს ვარსკვლავი” მოიპოვა.

საერთაშორისო ფესტივალზე რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. „”სილუეტი““ ფესტივალზე ორი ცეკვით წარსდგა: „მალეფისენტა““ და „”დისკო“.

ფესტივალზე გამორჩეულ, სანახაობრივ და ყველაზე ლამაზ ნომრად „მალეფისენტა“ დასახელდა. პატარების ფერადმა „დისკომ“ კი მაყურებლის გული მოიგო.

ჯგუფმა ბულგარეთის საგზური მოიპოვა. მოცეკვავეები დაჯილდოვდნენ მედლებით და სიგელებით.

“სილუეტის” ქორეოგრაფები გოგი და ხატია ხიდირბეგიშვილები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა – მოქმედებაში!

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბაკურიანის თემში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მიმდინარეობს.

ანდეზიტის დასახლებაში სასმელი წყლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, თორში შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოები, დიდ მიტარბში გარე განათების სისტემა მოეწყობა, ხოლო პატარა მიტარბში სკვერის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

რაც შეეხება ბაკურიანს, აქ დაგეგმილია სპორტული მოედნისა და გარე ტრენაჟორების მოწყობა.

პატარა მიტარბში გარდა სოფლის პროგრამებისა სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელდებაც იგეგმება. ამ ეტაპზე კი ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტის 33 სოფელში გაიმართა მოსახლეობასთან შეხვედრები. სოფლის კრებებზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ხმათა უმრავლესობით შეარჩიეს ის პრიორიტეტული პროექტები, რომელთა განხორციელებასაც

დასახლებისთვის გამოყოფილი თანხა მოხმარდება.

2024 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან 436 000 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 872 000 ლარი გამოიყო.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა.

აქტუალური ინტერვიუ

„ჯეო ჰოსპიტალსის“ კლინიკას მაღალკვალიფიციური კადრი შეემატა

შპს „ჯეო ჰოსპიტალს“-ის ბორჯომის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრს, სულ რამდენიმე კვირაა, ახალგაზრდა, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ექიმი ორთოპედ-ტრავმატოლოგი ვახტანგ წიკლაური ყავს. სამწუხაროდ, წლების მანძილზე ტრავმატოლოგიური სახის დაზიანების მქონე ბორჯომელ პაციენტებს, ხშირად დილიდან საღამომდე უწევდათ თბილისიდან მოწვეული ექიმისთვის ლოდინი, ამ დროს ფიზიკურ ტკივილს, ფსიქოლოგიურ ფაქტორიც ერთვოდა სწორედ ამიტომაც, შპს „ჯეო ჰოსპიტალს“-ის ბორჯომის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ახალი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ბორჯომელ პაციენტებს მთელი კვირის მანძილზე, 24 საათის განმავლობაში ექიმი ვახტან წიკლაური მიიღებს.

გაზეთ „ბორჯომის“ მკითხველებს ვთავაზობთ ინტერვიუს ექიმ ვახტან წიკლაურთან:

- **ბორჯომის მოსახლეობა ჯერ არ გიცნობთ. ვინ არის ექიმი ვახტანგ წიკლაური?** .

- მე გახლავართ ექიმი ორთოპედ-ტრავმატოლოგი. - სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა გავაგრძელე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 2009 წელს დავასრულე, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სწავლა გავაგრძელე უკრაინაში, ,,კ.ლ. შუპიკის“ სახელობის პოსტდიპლომური განათლების ნაციონალურ სამედიცინო აკადემიაში, რომელიც დავასრულე 2011 წელს.საქართველოში დაბრუნებისას კი სამსახური თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში დავიწყე. ერთი წლის შემდეგ საქართველოს ეროვნული შვიდკაცა მორაგბეთა ნაკრების მთავარ ექიმად დავინიშნე, რამაც მომცა იმის საშუალება, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით რაგბის გუნდთან ერთად უამრავ ქვეყანაში მემოგზაურა და გავცნობოდი სხვადასხვა ქვეყნის მედიცინის თუ მკურნალობის სპეციფიკას. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, აფრიკაში, ავსტრალიაში, იაპონიასა თუ დიბრიტანეთში ტრავმების მკურნალობის სპეციფიკის გაცნობა. რაგბის გუნდის მთავარი ექიმი გახლდით 8 წლის მანძილზე და იმ წლებში მართლაც ძალიან დიდი პრაქტიკა მივიღე. პარალელურად ვმუშაობდი ,,ნიუ ჰოსპიტალსში“, დღის ექიმისა და მორიგე ორთოპედ/ტრავმატოლოგის პოზიციაზე. აღნიშნულ კლინიკაში ვიმუშავე 9 წლის განმავლობაში. 2022 წელს გავემგზავრე ბელგიაში, ქალაქ გენტის საუნივერსიტეტო კლინიკაში ინოვაციური მეთოდის, კერძოდ კოჭ-წვივის სახსრის ტოტალური ენდოპროტეზირების ასათვისებლად, რამაც უდიდესი გამოცდილება შემძინა. 2024 წლის ზამთარში დავბრუნდი საქართველოში.

- **რაც შეეხება, ბორჯომში შემოთავაზებას, ამაზე რას გვეტყვით?**

- საქართველოში დაბრუნებისას და ზოგადად მახამდეც, მე საქმიანი ურთიერთობა მქონდა ერთ-ერთ წამყვან ორთოპედ-ტრავმატოლგთან, კლინიკა „ვივამედის“ ორთოპედია-ტრავმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელ ბატონ არკადი კიმკოსთან, რომელიც ამავე დროს გახლდათ ბორჯომის მრავალპროფილურ ჰოსპიტალში მოწვეული სპეციალისტი. ბორჯომის ჰოსპიტლის მენეჯმენტის სურვილი იყო თანამედროვე სტანდარტების ორთოპედია-ტრავმატოლოგიური განყოფილების გამართვა რეგიონში და ბატონი არკადის შემოთავაზებითა და რეკომენდაციით გადავწყვიტე ჩავდგომოდი ამ საქმეს სათავეში, რათა ბორჯომის მრავალპროფილური კლინიკა გამხდარიყო რეგიონის საყრდენი ცენტრი როგორც გადაუდებელ, ასევე გეგმიურ ტრავმატოლოგია-ორთოპედიული სერვისების მიმართულებით.

- **როგორ შეაფასებდით, რამდენად აქვს შესაბამისი რესურსი ბორჯომის „ჯეო ჰოსპიტალს“-ის კლინიკას, იმისათვის რომ აღნიშნული მიმართულებით ჩატარდეს ოპერაციები?**

- საკმაოდ დადებითად შევაფასებდი, იმ მხრივ, რომ მომუშავე პერსონალი საკმაოდ კვალიფიციური კადრებითაა დაკომპექტებული, რაც შეეხება ტექნიკურ მხარეს, ურთიერთობა გვაქვს საქართველოში ერთ-ერთ მოხინავე ლიდერ კომპანიასთან, რომელიც უმაღლესი ხარისხის საიმპლანტაციო მასალითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით გვამარაგებს.

ზოგადად, ჩემი ცხოვრების მთავარი პრინციპი არის ის, რომ არასდროს არაფერს არ ვტოვებ შუა გზაში, ყველაფერი მიმყავს ბოლომდე და ამ მეთოდს ეს ეფექტი ასე იქნება.

- **პაციენტისათვის ტრავმული დაზიანების დროს უმეტეს შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია დროის ფაქტორი. ბორჯომელ პაციენტებს ხშირად საათობით უწევდათ ლოდინი, რათა მათთვის შესაბამისი დახმარება გაეწიათ. ამ ეტაპზე ნებისმიერ დროს შეეძლებათ დახმარებისათვის მოგმართონ?**

- რამდენიმე კვირაა რაც ბორჯომში გადმოვედი სამუშაოდ და საცხოვრებლად. შესაბამისად, არსად აღარ ვაპირებ წასვლას, რადგანაც, რაც თქვენ ზემოთ ახსენეთ, ლოდინის პროცესი არის უდიდესი დისკომფორტი როგორც პაციენტისა და მისი ოჯახისთვის, ასევე სამედიცინო პერსონალისთვისაც. მნვავე ტრავმის პირობებში ოპერაციული ჩარევის ტექნიკაც თავისებურად რთულდება, განსაკუთრებით ტრავმის მიღებიდან 6-8 საათის შემდეგ. ამიტომაც, მივიღე გადაწყვეტილება, რომ კვირაში შვიდი დღე, 24 საათის მანძილზე არა მარტო ბორჯომელი, რამედ მთელი რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე ვიდგე.

- **ასეთი მუშაობის პირობებში მნიშვნელოვანია ხელმძღვანელი პირების გვერდში დგომა? რას გვეტყოდით მათზე?**

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

ქეთევან კიკნაძემ მარადიულ სასუფეველში დაიდო ბინა

85 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი და ღვაწლმოსილი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ქალბატონი ქეთევან კიკნაძე.

ქალბატონი ქეთევანი ბორჯომში დაიბადა 1939 წელს. ის ჩვენი ქალაქის მკვიდრი იყო.

1959 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი.

წლების მანძილზე მოღვაწეობდა თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მსახიობად, ხოლო 1967 წლიდან 1977 წლამდე მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრში. ბოლოს ისევ მარჯანიშვილის თეატრს დაუბრუნდა და პენსიაზე გასვლამდე აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სპექტაკლებში.

ქალბატონი ქეთევან კიკნაძე გადაღებული იყო 16-ზე მეტ მხატვრულ სატელევიზიო ფილმსა და სერიალში. მაყურებელს განსაკუთრებულად დაამახსოვრდა თავი მრავალსერიან „დათა თუთაშხიაში“ - ბეჩუნი პერტიას როლის შესრულებით.

ბორჯომის საზოგადოებრიობა გულწრფელად უსამძიმრებს ქალბატონ ქეთევან კიკნაძის ოჯახს შესანიშნავი მსახიობის გარდაცვალებას.

ქეთევან კიკნაძის გარდაცვალების გამო მწუხარება გამოხატეს და ოჯახს მიუსამძიმრეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელებმა.

„ჯეო ჰოსპიტალსის“ კლინიკას მაღალკვალიფიციური კადრი შეემატა

(დასასრული)

- მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა, რადგანაც რომ არა მათი გვერდში დგომა, მხოლოდ ექიმი ვერაფერს გააკეთებს. კლინიკის მენეჯმენტის სურვილია, ეს სერვისი, როგორც ზემოთ გითხარით, რეგიონის მასშტაბით იყოს მაღალხარისხიანი და ხელმისაწვდომი, რომელსაც მონდომებითა და თანადგომით აუცილებლად მივაღწევთ.

● თქვენი მოღვაწეობის პერიოდში ყველაზე რთულ შემთხვევას ხომ ვერ გაიხსენებდით?

- უამრავი შემთხვევა ყოფილა. თუმცა გავიხსენებ ერთს, როდესაც პასუხისმგებელი ორთოპედ-ტრავმატოლოგი ვიყავი თბილისის ერთ-ერთ წამყვან ჰოსპიტალში.

ბოლნისის კლინიკიდან განხორციელდა ზარი მორიგე ექიმის მიერ, 27 წლის მამაკაცთან დაკავშირებით, რომელსაც თიხის მომპოვებელი მაღაროს ჩამოქცევის შედეგად მიღებული ჰქონდა მრავლობითი ტრავმები. დაზიანების სიმძიმიდან გამომდინარე დაუყოვნებლივ აპირებდნენ ქვედა კიდურის ამპუტაციას მენჯ-ბარძაყის სახსრის დონეზე და კიდურის შენარჩუნების მიზნით საჭიროებდნენ კონსულტაციას. ჩემს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, პაციენტის ჩვენს კლინიკაში ტრანსპორტირების შესახებ. კიდურის შემანარჩუნებელი ოპერაცია 23 საათზე დაიწყო, და როდესაც მრავალსაათიანი ბრძოლა ქვედა კიდურის გადარასჩენად დასრულდა, მე პაციენტის ნარმომადგენლებთან საკომუნიკაციოდ გავედი, სწორედ მაშინ მივხვდი, რომ უკვე გვარიანად გათენებულიყო. ჩვენ ეს შევძელით, ახალგაზრდა მამაკაცს კიდური შევუნარჩუნეთ, სრულფასოვნად აღვადგინეთ მისი ფუნქციონირება.

● რაც შეეხება ბორჯომს, ძირითადად რა სახის ტრავმებით შემოდიან პაციენტები?

- იმ პერიოდის მანძილზე, რაც მე ბორჯომში ვიმყოფები, ხშირია ბავშვთა ტრავმები, მოტეხილობები. სამწუხაროდ, ჯერ მოსახლეობამ არ იცის და თქვენი გაზეთის საშუალებით გაიგებენ, რომ ტრავმატოლოგიასთან ერთად აქ ორთოპედიული სახის ოპერაციებიც ჩატარდება. მიხარია, რომ კლინიკაში ჩატარებული ყველა ოპერაცია საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტით ხორციელდება.

● თუ არსებობს ორთოპედიაში გარკვეული სახის უკუჩვენება, რა დროსაც ჩატარებული მკურნალობა არ არის შედეგის მომცემი?

- დიახ, არსებობს და სხვათა შორის ბორჯომში გვყავდა 94 წლის პაციენტი და სწორედ მისი ასაკი და მასთან ერთად პაციენტის ზოგადი მდგომარეობა არის პირდაპირი უკუჩვენება იმისა, რომ ოპერაცია ჩატარდეს. მედიცინა არ არის 100%-ანი მეცნიერება, ამიტომ მიუხედავად პრევენციისა, გართულებების რისკი მაინც არსებობს, მთავარია, რომ ეს რისკები მინიმუმამდე დავიყვანოთ.

● საუბრის ბოლოს კი მინდა ჩვენ მკითხველებს ერთგვარი რჩევა მისცეთ პროფილაქტიკის მიზნით, როგორ უნდა მოიქცნენ, რათა ცხოვრების ყველა ეტაპზე ძვალ-სახსროვანი სისტემის ჯანმრთელობა შეინარჩუნონ?

- ყველაზე მთავარი რჩევა ისაა, რომ პაციენტებმა გაითვალისწინონ და შეასრულონ ექიმის მიერ გაცემული რეკომენდაციები და არ იხელმძღვანელონ საზოგადოებაში გავრცელებული მითებით, რომლებმაც შეიძლება პაციენტის მდგომარეობა გაართულოს.

ასევე მნიშვნელოვანი პროფილაქტიკური ღონისძიებაა სისტემური და გონივრული ფიზიკური აქტივობა კუნთების გამაგრებისა და სახსრების მობილობის შესანარჩუნებლად, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ბალანსირებული კვება და ბოლოს, ყური დაუგდეთ თქვენს ორგანიზმს და იზრუნეთ მასზე. ის ხომ ტკივილითა და სხვა გამოვლინებებით გვახსენებს თავს, რომ მას ჩვენი ყურადღება სჭირდება.

ესაუბრა ნატო მელიქიძე

დაიწყო წაღვერის პარკის რეაბილიტაცია

ისტორიული მნიშვნელობის წაღვერის კულტურისა და დასვენების პარკი 10 500 კვადრატული მეტრის საერთო ფართობზეა გაშენებული, ამჟამად მისი სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს „ქართლის“ ქვეკონტრაქტორი ორგანიზაცია შპს „სითირაიზი“ ახორციელებს.

პარკის რეაბილიტაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომლის ღირებულება 2 მილიონ 300 ათას ლარია.

სამუშაო პროცესი დაიწყო 2024 წლის 1 მაისიდან და 8 თვეს გაგრძელდება. პროექტი მოიცავს როგორც ძველი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას, ასევე ახალი სივრცეების მშენებლობასაც.

სარეაბილიტაციო ობიექტებს მიეკუთვნება მინერალური წყაროს კედლისა და მისი შენობა-ნაგებობის, ბუნებრივი ქვის წყობის საყრდენი კედლების, წყლის არხისა და ტერიტორიის შემოღობვა.

ამ ეტაპისათვის უკვე დასრულებულია ტერიტორიაზე არსებული პროექტით გათვალისწინებული ყველა სახის სადემონტაჟო სამუშაოები.

სკვერის კეთილმოწყობისთვის გათვალისწინებულია ახალი შესასვლელის, სკამებისა და ნაგვის ურნების, სასროლი ტირის მოწყობის, ბავშვთა გასართობი სივრცეების, ფოტოს გადაღების ჯიხური ,,ფოტო ხაჩიკასა"“ და მისი მონუმენტის, დეკორატიული განათებებისა და ლამპიონების, მოსასვენებელი სივრცეების, ფანჩატურების, კაფესა და კომერციული შენობის მოწყობა.

პროექტით დაგეგმილია პერგოლების, ბავშვთა ქოხების, საცოცი კედელის, გადმოსახედების, ხიდების, კიბეების, რკინა-ბეტონის საყრდენი კედლების მასშტაბური სამუშაოები.

სკვერის ქვედა ნაწილში კი იქნება როგორც ბავშვთა სივრცე, ასევე დასასვენებელი და კომერციული შენობა-ნაგებობები, სადაც მდებარეობს მინწყლის წყარო. ამ ადგილიდან ხევში გაყვანილი იქნება ახალი საფეხმავლო ბილიკი წყლის არხითა და დასასვენებელი სივრცეებით.

რაც შეეხება სამანქანო გზას, შენარჩუნდება არსებული გრუნტის საფარი სკვერის დასაწყისიდან მის ბოლომდე. გზის შესასვლელში ლითონის ჭიშკარი განთავსდება; ამავე დროს აღსანიშნავია, რომ წაღვერის სტუმრებს სკვერის ზედა ნაწილშიც დახვდებათ ბავშვთა გასართობი მოედნები და დასასვენებელი სივრცეები.

წაღვერის პარკში მიმდინარე რეაბილიტაციის პროცესზე „სითირაიზის“ დირექტორი ბატონი გიორგი წიქარიშვილი დეტალურად გვესაუბრა. მასთან ერთად ადგილზე გავეცანი ამფითეატრისა და „ფოტო ხაჩიკას“ ჯიხურის მოწყობის გენ-გეგმას. გადმოსახედი ადგილის ახლანდელ და სამომავლო ვიზუალიზაციის გაცნობა კი რეალურად ქმნიდა კონტრემოციას და დარწმუნებული ვარ ასეთივე ემოციით დატოვებს მნახველს განახლებული წაღვერის პარკი.

- აღნიშნულ ტერიტორიაზე ამა წლის მაისში დავიწყეთ სარეაბილიტაციო სამუშაოები და გაზაფხულზე ისევ განვაახლებთ. მომავალი წლის საკურორტო სეზონს დამსვენებლები განახლებულ პარკში შეხვდებიან.

მიმდინარე სამუშაოებზე დღეისათვის 30 მშენებელია დასაქმებული. ადგილობრივებთან ერთად მუშაობენ სპეციალისტები, რომლებიც სხვადასხვა რეგიონიდანაა ჩამოყვანილი.

პარკის ტერიტორიაზე მოსახლეობის წყალსადენი მილებიცაა გაყვანილი, რომელთა შეცვლაც სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად იგეგმება და ამავე პარკშია სასმელი წყლის სათავე-ნაგებობაც, სადაც კეთდება გადმოსახედი, შესაბამისად დაგეგმილია მისი საფუძვლიანად მოპირკეთება.

სულ მალე პარკში დაგხვდებათ მრავალფეროვანი სახის დასასვენებელი სივრცეები, რომელებსაც გაალამაზებს სხვადასხვა სახის ფანჩატური, ღია კაფე, საბავშვო სარიალოები და გასართობი ატრაქციონები.

წაღვერის პარკის რეკრეაციულ ზონაში თქვენ შეხვდებით ულამაზეს ხე-ნარგავებს, ბურთის ფორმის მარადმწვანე ძახველს, ტუიას, სუროს, ირმის რქას, ცაცხვს, ლავანდასა და ფოტინიას.

მოამზადა იზა იანვარაშვილმა

მეცნიერი ითხოვს ნაცმოძრაობის გასამართლებას

ლევან გიგინეიშვილი: ,,ნაცმოძრაობის“ ზნეობრივი ,,ნიურნბერგი“ უნდა ჩატარდეს და შეფასდეს მოვლენა

- ,,რაც ხდებოდა ცხრა ხელისაადში, ეს იყო რაღაც ანთროპოლოგიური კატასტროფა. სახელმწიფო რომ ხდება მთავარი და ადამიანი არაფერი, ნამებები, მკვლელობები, საშინელებები ხდებოდა, როგორ შეიძლება ეს დაივიწყო? შეუძლებელია ამის დავიწყება, ეს არის შენი ვალდებულება, რომ სულ უნდა გახსოვდეს, რომ იგივე არ გაიმეორო. უნდა მოხდეს ამის ზნეობრივი შეფასება“, - განაცხადა ფილოლოგმა, მეცნიერებათა დოქტორმა **ლევან გიგინეიშვილმა** ,,იმედის“ ეთერში.

რას ჰქვია, რაღა დროს ცხრა წელია, გერმანიამ რომ დაივიწყოს ის ფაშიზმი, ან რაც პუტინის რუსეთში ხდება, არ გაიხსენებენ და ისევ იგივე განმეორდება. აუცილებლად უნდა გაიხსენო ყველაფერი. მით უმეტეს ის ძალა ცდილობს ახლა ხელისუფლებაში მოსვლას, რასაც მე ვუყურებ, ბატონი ვაშაძე ემზადება მოსასვლელად... ზოგიერთები ამბობენ, რომ ის მოდის დასაბალანსებლად. მოდის იმისთვის, რომ გზა გაუკაფოს ისევ ნაციონალურ მოძრაობას და ნაციონალური მოძრაობა არაფერს არ აბალანსებს. მთლიანად მოწმინდეს ცხრა წლის მანძლზე მთელი პოლიტიკური სპექტრი.

ამბობენ, რომ გადაცდომა ჰქონდათ, ადამიანის ნამება გადაცდომაა და შეცდომა? ან უდანაშაულო ადამიანების დაჭერა და ციხეში ჩასმა?. მკვლელობები ხდებოდა, ბიზნესების ,,შენერა“, ეს გადაცდომა არ არის. ეს არის დანაშაული.

ადამიანი არის სახელმწიფოსათვის, სახელმწიფო ადამიანისათვის.

ბოროტის გამკეთებელ ადამიანებსაც სიკეთე უნდა უსურვო და გამოსწორება, მაგრამ სინანული უნდა აჩვენოს და არ აჩვენებენ სინანულს. რა გვაქვს სინანული და საპატიებელიო? საპატიებელი ჩვენც კი გვაქვს, დროზე ხმა რომ არ ამოვიღეთ და გასაქანი მივეცით. სი-

ნანულია მათთვის საჭირო და ყველასათვის, ისე როგორ შეიძლება? თუ მოინანიებენ, კი ბატონო, ხალხმა შეიძლება აპატიოს, მაგრამ არ აქვთ ეს სინანული, მთელი 12 წლის მანძილზე არიან იმის მცდელობაში, რომ ავანტიურისტულად დაიბრუნონ ხელისუფლება. ამიტომ ამბობენ, ახლა მოვალთ და ამას არ ვიზამთო. ამის შანსი არის ნული!

ზნეობრივი ,,ნიურნბერგი“ უნდა მოხდეს და შეფასდეს მოვლენა. ბოროტი ადამიანი არ უნდა გძულდეს, მაგრამ მის მხეცობებზე უნდა გქონდეს რეაქცია, თორემ ეს შეუფასებელი მხეცობების დავიწყება, კიბოს მეტასტაზებივით გავრცელდება. არ შეიძლება ეს. ამიტომ გერმანია აფასებს თავიანთ შეცდომებს, რომ არ გაიმეორონ.

მოუსმინეთ გენიოს მწერალს



“წერა დღესაა ადვილი, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ცენზურა აღარ არსებობს, არამედ იმიტომ, რომ ორსაუკუნოვან ომში დაღუპულ (შეშლილ, დახვრეტილ, ნაწამებ, თვითმკვლელ) მწერლების ძთამომავალმა გათავისუფლებისთანავე უარი თქვა მწერლობის ტრადიციულ დანიშნულებაზე და უცხოელი ექსპერიმენტალისტების მიბაძვით, უაღრესად "თანამედროვე" და "აქტუალური" თემებით დაინტერესდა, როგორიცაა: ჰომოსექსუალიზმი, კოსმოპოლიტიზმი, გლობალიზაცია, ანუ მშობლიური ისტორიის კრიტიკა და მშობლიური კულტურის უარყოფა. ქართული მწერლობა მონობაშია შექმნილი, ოღონდ თავისუფალი ადამიანისთვის. დღეს კი, მეტ-ნაკლებად თავისუფალ საქართველოში, მონებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა იწერება.

ჩვენ გვყავს მწერლები, რომლებიც ქართულად კი წერენ, მაგრამ ქართული ეროვნული სულისკვეთება არ გააჩნიათ. მხატვრულად რომ ვთქვათ, ჰემინგუეის ნაბიჭვრებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ყაზბეგის კანონიერ მემკვიდრეებს.

უკულტურობის გამოხატულებაა უცხოურის გაფეტიშება და ეროვნულის უგულებელყოფა."

უმაგრესი, გენიოსი - ოთარ ჭილაძე.

შეგყობინებები თაღლითობის მიზნით



ორშაბათს, 8 ივლისს ნომრიდან +995557677834 ჩემს ნომერზე შემოდის შეტყობინება ტექსტით:

- „თქვენი პაკეტი მოვიდა ჩვენს საწყობში, მაგრამ მისი მიწოდება შეუძლებელია მისამართის არასწორი ინფორმაციის გამო. გთხოვთ, შეიყვანოთ სწორი მისამართის ინფორმაცია“.

მოცემულია და თან ერთვის ლინკი, რომელზეც გადასვლის შემთხვევაში, ალბათ ან ავსებ მონაცემებს ან ავტომატურად უჩნდება შეტყობინების გამომგზავნს წვდომა შენს მობილურ ტელეფონში არსებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე.

ხუთშაბათს, 11 ივლისს კი უკვე კომპანია „სილქნეტი“ აგზავნის მოსახლეობაში გამაფრთხილებელ შეტყობინებებს, რომლის შინაარსი შემდეგი სახისაა: კომპანია „სილქნეტი“ მოგმართავთ თხოვნით, თავი შეიკავოთ უცნობი ნომრებიდან შეტყობინებით მიღებული საეჭვო ბმულების გახსნისგან და არ გააზიაროთ თქვენი პირადი მონაცემები.

ეს მხოლოდ შეტყობინების ნაწილია, რომელსაც ათასობით მოქალაქე ყოველდღიურად იღებს უცნობი პირებისგან. ზოგიერთი კი ინფორმაციის ნაკლებობის გამო გადადის კიდეც მითითებულ ბმულზე და თაღლითობის მსხვერპლიც ხდება. ისიც საფრთხის შემცველია, რომ აღნიშნულ ნომერზე გადარეკო და უფრო დეტალურად მიჰყვე მათ მიერ შემუშავებული თაღლითური სქემის თანმიმდევრობას. ეს სხვა რეპორტაჟისა და ჟურნალისტური გამოძიების საქმეა. ახლა, ამ სტატიით მინდა, რომ მოსახლეობა გაფრთხილდეს და ჰქონდეს ინფორმაცია იმ თაღლითობებთან დაკავშირებით, რომლებიც სულ უფრო და უფრო ხშირად ვრცელდება ჩვენს საზოგადოებაში და აზიანებს მოქალაქეებს.

რა არის თაღლითობის მიზანი?! - უმრავლეს შემთხვევაში ფულადი სახსრების გამოძალვა და საბანკო ანგარიშებზე წვდომა. ინტერნეტ სივრცე მსგავსი ქმედებებით უკონტროლო და უკიდეგანოა.

რამდენიმე ბორჯომელიც წერდა, რომ მათ მიერ მიღებული შეტყობინება, რომელიც თანხის ჩარიცხვას გულისხმობდა მეგობრების მხრიდან, არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რადგან მას ფეისბუქ გვერდი გაუტეხეს და სწორედ ამგვარი არაკეთილსინდისიერი გზით ცდილობდნენ თანხის მოპოვებას უცნობი პირები.

მსგავსი თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდა ჩემი ახლობელი, რომელსაც ფეისბუქ-ის გვერდი გაუტეხეს და ზუსტად სიტყვასიტყვით იგივე სქემით მოქმედებდნენ და ნაცნობებს ფულის ჩარიცხვას სთხოვდნენ გატეხილი და დაბლოკილი გვერდებიდან.

ოდნავ განსხვავებულად მოქმედებენ და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ცდილობენ ვითომ გამდიდრებული უცნობები, რომლებიც გარკვეული თანხის სანაცვლოდ, თანხის ინვესტიციის გზით, კრიპტოვალუტის გამომუშავებით, კრუიზების შესყიდვით, 300 დოლარის სანაცვლოდ საოცარ მოგზაურობასა და ამასთან ფულის გამომუშავებას, გამდიდრებასაც კი პირდებიან ინვესტორებს „მცირე“ თანხის სანაცვლოდ.

ეს კი აწ უკვე მოძველებული თემაა, როგორ დაუტოვა შენს გვარს დიდძალი ქონება უცხო ქვეყანაში მცხოვრებმა გარდაცვლილმა მოხუცმა და ახლა მისი ქონების მისაღებად თქვენ გიკავშირდებიან, უზარმაზარი ტექსტითა და დაუსრულებელი შეტყობინებებით, პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში იმედგაცრუებულები გტოვებენ.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მოსახლეობა მაქსიმალურად ინფორმირებული იყოს მსგავს საკითხებზე და არ გახდნენ თაღლითობის მსხვერპლნი, რომელიც სხვადასხვა სახით ვლინდება, მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით, გამოძალონ მოსახლეობას თანხა და ჰქონდეთ წვდომა მათ საბანკო ანგარიშებზე.

კიდევ ერთ მეტად გავრცელებულ თაღლითურ მოქმედებაზე მოგაწვდით ინფორმაციას, როდესაც უცხო ქვეყნის ნომრით შემოვა თქვენს ტელეფონზე ზარი ნუ გადარეკავთ, რადგან შესაძლოა ამით თქვენი ტელეფონის ანგარიშიდან საერთოდ გაქრეს ჩარიცხული თანხა. იყავით ფრთხილად, და ნუ იქნებით ფულის შოვნის იმედით კიდევ უფრო დაზარალებული თაღლითების მიერ.

საბანკო სფერო კი მუდმივად ავრცელებს ინფორმაციას, რომ არავითარ შემთხვევაში არ გავცეთ პირადი და საბანკო მონაცემები.

უსაფრთხო ცხოვრებას გისურვებთ!

იზა აპინელი

ჩვენი ვეტერანები

კეთილსინდისიერ შრომაში განვლილი წლები

ქუჩის პირას შემაღლებულზე აშენებულ სახლის მოღიავებულ ეზოში შევდივარ. მტვრიანი გზის პირას, მაღალი ღობის გასწვრივ თავს ნაირფერი ხვანჭკოლები იწონებენ. ცოტა ზემოთ, ეზოს განაპირას ზამბახები ყვავიან. პატარა ბაღს მზრუნველი ხელი ეტყობა. ეზოდან, განსაკუთრებით მოწმენდილ, მზიან ამინდში გამოკვეთილად ჩანს მთებზე შემორჩენილი თოვლი.

აი, მასპინძელიც გამოჩნდა. დაუპატიჟებელ სტუმარს ცნობისმოყვარეობით მაკვირდება. გამოვეცნაურე თუ არა, ორივენი მივხვდით, რომ ადრეც შევხვედრილვართ ერთმანეთს და უკვე ძველი ნაცნობებივით გავაბით საუბარი.

ომარ აბრამაშვილი, ბაკურიანში მცხოვრები ბორჯომელი კაცი, ჩემი მასპინძელია, რომელთანაც ჩემმა რედაქტორმა გამგზავნა ორიოდე მახასიათებლით - არის ერთი მშრომელი, ერთგული და უპატიოსნესი ადამიანი, წადი და გაესაუბრე. როგორი ძვირფასი თვისებები ჰქონია, სანთლით საძებნი, როცა რესპონდენტს მხოლოდ ამ თვისებებით ირჩევ და მეტი არც არაფერია საჭირო.

პატარა, კოხტა კერძო სასტუმროს სამზარეულოში მიმიძღვის, თან გზადაგზა ვსაუბრობთ. ლამაზი ცუგაც ცნობისმოყვარედ მიმზერს კიბის თავიდან. მასპინძელი მიბოდიშებს, მეუღლე სახლში არაა და ჯეროვნად ვერ გმასპინძლობთ. პატარა სასტუმროს მეუღლესთან ერთად უძღვება, ვაჟიშვილიც ეხმარება. პირველ რიგში ბატონი ომარის ასაკით დავინტერესდი და პასუხად სიურპრიზი მელოდა.

- რამდენი წლისაც არის თქვენი რედაქტორი, იმდენის ვარ მეც. ბავშვობიდან ერთად მოვდივართ, სკოლაში ერთ კლასში ვსწავლობდით. ვენათესავებით კიდევაც ერთმანეთს, ჯარში ერთად წაგვიყვანეს, შუშის ქარხანაშიც ერთად ვმუშაობდით, - მიყვება ღიმილით ბატონი ომარი.

აი, თურმე რა ყოფილა! ნამდვილი მეგობრობაც ასეთი უნდა, წლების განმავლობაში ადამიანური თვისებებით დაფასება და არა ფარისევლური დროებითი ურთიერთობები.

- ჩემი გვარის ფესვები იმერეთიდან მოდის, - გაანგრძობს თხრობას ჩემი რესპონდენტი, - პაპაჩემის ძმაა იქიდან წამოსული, ჭიათურის რაიონის სოფლებიდან. იქ წერეთლებს შეუვიწროებიათ, აბარგებულან და ქვიშხეთში დასახლებულან. ჩვენ აბრამიშვილები ვართ, მაგრამ ქვიშხეთში ყოფილან აბრამაშვილები და იმათ შეუერთდნენ. გვარს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, როგორი მრწამსი გაქვს. დედა დევიძის ქალი იყო. მე 1942 წლის 20 აპრილს დავიბადე სოფელ ყვიბისში. სამი თვით ადრე მამა წაიყვანეს ჯერ ჯარში, მერე ფრონტზე. ექვსი თვისა ვუნახივარ, სანამ ფრონტზე წაიყვანდნენ დედა ჩასულა სანახავად და თივის ზვინში მაბურთავა. ომის დამთავრების შემდეგ მამა მშვიდობიანად დაბრუნდა სახლში, მაშინ სამი წლის ვიყავი.

ცხადია, მამა ვერ ვიცანი, შევშინდი და საწოლის ქვეშ დავიმალე. მამამ დამიძახა, ნუ გეშინია, შვილო, მამაშენი ვარო. გამოვძვერი სამალავიდან და ჩავეხუტე... ბატონ ომარს ხმა გაუტყდა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, ბავშვობის მოგონებებმა გული აუჩუყა და ტკბილმწარე სევდა მოჰგვარა.

- იმდენი გაჭირვება გავიარეთ, ახლა თითქოს გაიოლებულია ყველაფერი, საჭმელ-სასმელიც არის. როდესაც გაჭირვებას დაძლევ, მაშინ ირჩევ უკვე რა შეჭამო, მჭადი აღარ გინდა, უკვე ტორტს მოითხოვ. ჩემმა ოჯახმაც გამოიარა გაჭირვება. შრომის სიყვარულმა გადამარჩინა, რაც მამამ მასწავლა.

- ,,შრომა გიყვარდეს და არ დაიკარგებიო“, ამბობდა მამა. სულ მის გზას მივყვები. 7-8 წლის ვიქნებოდი, როდესაც მამა გვიან ღამით ბრუნდებოდა სამუშაოდან, შეშის მოსატანად მიდიოდა და მეც მივყავდი დასახმარებლად. შორიდან მოგვქონდა შეშა. 13 წლის რომ ვიყავი, მამა შუშის ქარხანაში ცვლის უფროსი იყო, თუ მუშა არ გამოვიდოდა ცვლაში, წამიყვანდა და მის მაგივრად მე ვმუშაობდი ხოლმე.

პაუზა გააკეთა, ცრემლს ვერ იკავებდა, ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა მომღიმარ სახეზე, იმ მოგონებებს შეჰხაროდა.

- თექვსმეტი წლიდან მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში გადავედი. ერთი წელი იქ ვისწავლე. ოთხი შვილი ვყავდით ჩემს მშობლებს, მარტო მამა იყო მარჩენალი და მეც უნდა დავხმარებოდი. ამასობაში ჯარის დრომაც მომიწია და მე და თქვენი რედაქტორი ერთად გავემგზავრეთ ჯერ ბათუმში, კარანტინში და მერე გერმანიაში. სამი წელი იქ ვიმსახურე. რუსული ასე თუ ისე ვიცოდი. ეს იყო სამოციანი წლების დასაწყისი. მსოფლიოში რთული სიტუაცია იყო. სამყარო მესამე მსოფლიო ომის დაწყების საშიშოების წინაშე იდგა. იყო კარიბის ზღვის კრიზისის დრო. მაგრამ საბედნიეროდ, როგორც მოგეხსენებათ, გადავრჩით ომის დაწყებას. მე კი ჯარში ასე თუ ისე მქონდა თავისუფალი დრო და ინსტიტუტში ჩასაბარებლად კონსპექტებით დავიწყე მომზადება. ერთი წლის განმავლობაში ვიზუთხავდი მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის საკითხებს. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საბუთებიც გამოვაგზავნე. უკვე ოცდაერთი წლის ვიყავი. ორი თვით ადრე გამომიშვეს ჯარიდან. ჩავირიცხე პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. დაუვიწყარი იყო სტუდენტობის პერიოდი. შემდეგ ბორჯომში მშენებარე პურის ქარხანაში გამამწესეს მექანიკოსად. ცოტა ხანში დამაწინაურეს, გავხდი მთავარი ინჟინერი. ამასობაში წლებიც მემატებოდა და გამოცდილებაც. ბოლოს ბორჯომის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, კომუნალური სამსახურის უფროსი ვიყავი.

ბაკურიანში 1985 წელს ამოვედი. დაარსდა კურორტ ბაკურიანის დირექცია. სჭირდებოდათ მთავარი ინჟინერი. უფროსი ჩემი ნაცნობი იყო და სიხარულით მიმიღო სამსახურში. ასე დავმკვიდრდი ბაკურიანში. დროთა განმავლობაში ეს პატარა სახლიც ავაშენე და საცხოვრებლად აქ გადმოვედი. ვაქირავებ 3-4 ოთახს, მინასაც ვამუშავებ, პატარა ნაკვეთია სახლის უკან, კარტოფილს ვთესავ, მარწყვი მომყავს, ნიორი, მწვანილი და ლობიოც მითესია. შრომა ყოველთვის დაფასდება. ჩემს მონაგარსაც ამას ვეუბნები ყოველთვის. შრომა აკეთილშობილებს ადამიანს. მშრომელი კაცი არასოდეს იქნება ინტრიგანი, სხვისი ხელის შემყურე, არ შეშურდება. თუ ზარმაცი არ ხარ, მშიერი არასოდეს არ დარჩები. სტუდენტობის დროს, სწავლის პარალელურად მტვირთავად ვმუშაობდი. აღებული ფულით არდადეგებზე სახლში რომ ჩამოვდიოდი, საჩუქრები ჩამომქონდა ჩემიანებისათვის. ის დრო რომ მახსენდება, ცრემლებს ვერ ვიკავებ, აღარ დაგვიბრუნდება ახალგაზრდობის წლები.

ყველაზე სევდიანი ჩვენი საუბრის ბოლო აღმოჩნდა. ბატონი ომარი და მისი მეუღლე შვილმკვდარი მშობლები არიან. ოთხი შვილიდან ორი მოუკვდათ. სულისშემძვრელი იყო მშვიდი, კეთილშობილი კაცისგან თითქმის ჩურჩულით, ათრთოლებული ხმით ამ ამბის მოსმენა.

-ძალიან დავიჩაგრე. რომ ვშრომობ, ბაღსა და ბოსტანში ვფუსფუსებ, გულს გადავაყოლებ ხოლმე, მაგრამ ის სიმწარე, რაც გამოვიარე, არ მავიწყდება.

გული გამიტყდა, მაგრამ თვითონვე გამოიდარა მალევე, სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი, რომ სულ მთლად არ აყოლოდა სევდიან ფიქრებს. ეზოში გავედით, ბაღი დამათვალიერებინა და დამშვიდობებისას შემოდგომით ყვავილების ნერგებისა და თესლების მოცემას დამპირდა. ამ მშრომელ კაცს შემოდგომით უხვი მოსავალი რომ ექნება, ეგ უკვე ნამდვილად ვიცი.

რუსუდან სხირტლაძე

ფესტივალის გამარჯვებულები

აღსანიშნავია, რომ ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,იმედმა“ ბულგარეთში გამართულ ფესტივალ-კონკურსში პირველი ადგილი მოიპოვა.

ანსამბლს ქორეოგრაფი, **თეა გაბელაია** ხელმძღვანელობს.

თეა გაბელაია - ჩვენი ანსამბლი მაყურებლის წინაშე ორი ცეკვით, ,,კახურით“ და ,,აფხაზურით“ წარსდგა. სიმართლე გითხრათ, ამბიცია არ მქონდა, არც მოლოდინი, საკმაოდ გამეხარდა და გამაოცა პირველმა ადგილმა, გამაბედნიერა იმან, რომ ჩემი და მოსწავლეების თავდაუზოგავი შრომა დაფასდა.

ბულგარეთიდან გამარჯვებული დაბრუნდა ანსამბლი ,,ფერხისიც“. ფესტივალ-კონკურსში ანსამბლმა ასევე პირველი ადგილი მოიპოვა. კონკურსზე “ფერხისმა” ორი ცეკვა შეასრულა.

კონკურს-ფესტივალის ორგანიზატორები იყვნენ: კომპანია “MAGICGROUP” და “ART-FEST ASSOCIATION”. სწორედ კომპანია “MAGICGROUP”-მა და “ART FEST ASSOCIATION “-მა მიიწვია ,,ფერხისი“ ბულგარეთში, ქალაქ ვარნაში. პირველ საპრიზო ადგილთან ერთად ანსამბლს ორი თასი, სამახსოვრო დიპლომები, მედლები და თანხა - 500 ევრო გადაეცა. ანსამბლი მომავალ წელსაც იქნა მიწვეული ასევე ბულგარეთში, ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად. ანსამბლ ,,ფერხისის“ ხელმძღვანელი ქორეოგრაფი **ნინო მდივნიშვილია.**

გულწრფელად ვულოცავთ ბორჯომში არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლებს ამ უდიდეს წარმატებას და სამომავლოდ ღირსეულ მოღვაწეობას ვუსურვებთ. მუდამ სიამაყით წარადგინონ მაყურებლის წინაშე ქვეყანა და მშობლიური ბორჯომი.

მოამზადა **ნატო მელიქიძემ**

გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურობს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც ამავე საბჭოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი უძღვებოდა.

საბჭოს წევრებმა დღის წესრიგით განსაზღვრული ორი საკითხი განიხილეს:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, გამოსაცემად გამზადებული წიგნის ,,ბორჯომის საპატიო მოქალაქე“ შესახებ იმსჯელეს.

ასევე იმსჯელეს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი ღონისძიების შესახებ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და ორგანიზებით, სოფლების - ტაბაწყურის, მოლითის და ბალანთის სკოლების მეათე და მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებისათვის ღონისძიება მოეწყო.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და საბჭოს წევრები ე.წ პლატოს ბორბალს ესტუმრნენ, შემდეგ კი, სოფელ ჩითახევში გადაინაცვლეს, სადაც სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში - **(ფრენბურთი, ზიპლაინი, მშვილდ-ისარის სროლა, კედელზე ცოცვა) მიიღეს მონაწილეობა.** საღამოს კი ჯომარდობაშიც აქტიურად ჩაერთვნენ.

მთელი დღის განმავლობაში ადგილზე იმყოფებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**, ტაბაწყურის თემის მაჟორიტარი დეპუტატი **ანდრუშ ირიციანი, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები**.

აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სკოლების მოსწავლეებისათვის მსგავსი სახის ღონისძიება პირველად 2023 წელს ჩატარდა და გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, მან ტრადიციული სახე მიიღო.

შეგახსენებთ, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ არაერთი ღონისძიებაა დაგეგმილი. აღნიშნული საბჭო მუშაობას მომავალშიც ინტენსიურად გააგრძელებს საქმიანობას.

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება

ბორჯომში, რუსთაველის ქუჩის №85, №91 და №93-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება.

პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადები, შეიცვალა სახურავები, აივნები და კარ-ფანჯრები, მოეწყო დეკორატიული ელემენტები.

საკურორტო ქალაქის იერ-სახის გალამაზება, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, შესაბამისად საცხოვრებელი სახლების ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მომავალშიც იგეგმება.

ვულოცავთ!



2024 წლის 10 ივლისს ქიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა **დანიელმა (დათუაშვილი)** გამმვენებული ჯვრისა და მიტრის ტარების უფლებით დაავჯილდოვა ბორჯომის წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი **იოანე (ხეცურიანი)**.

ბორჯომის ტრენინგ ცენტრი ულოცავს დამსახურებულ ჯილდოს, ჩვენი ცენტრის შესანიშნავ მოძღვარს, დეკანოზ მამა **იოანე ხეცურიანს**, უფალმა ღირსეულად ამსახუროს ეკლესიის საკეთილდღეოდ.

ქრისტეს მოციქულებს

მადლიანო კაცებო, მადლიანო მამებო,
ქრისტეს მოციქულებო, ქრისტეს მოწაფეებო,
ღმერთს ესაუბრებოდით და მის სიტყვას ისმენდით,
ახლა გაბრწყინებულხართ ღმერთთან ახლოს მზეებრო.
ეს ხომ საოცრებაა, სასწაული ასეთი,
უფლის თვალებს ხედავდით, გთვლიდათ როგორც მეგობრებს,
თუმც სოფელმა ვერაგმა, არ მიგიღოთ არცერთი,
მასთან ერთად გდევნიდნენ, როგორც ქრისტეს მეომრებს.
უსაყვარლეს მოძღვარის გამეტების მხილველნი,
ხართ მომსწრენი იესოს დევნისა და შუღლისა,
თქვენ იყავით მტკიცენი, ძლიერნი და შესძელით
მისი სიტყვის გატანა, ერთგულება უფლისა.
დაითმინეთ მრავალი ტანჯვა, დევნა, წამება,
შეასრულეთ ღვთის სიტყვა, ხალხს მოჰფინეთ სინათლე,
გზა უჩვენეთ სიცოცხლის, ბნელში მყოფთ და დაცემულთ,
ჭეშმარიტის სწავლებით იქადაგეთ სიმართლე.
თქვენ ადიდეთ სიმართლე უწმინდესო მამებო,
დღესაც თქვენი მადლის გემი ცოდვის ყინულს მიაპობს,
უფლის გვერდით განსჯით ხალხებს კლდეებო და სალებო,
თორმეტ ტომსაც, სხვა ხალხებსაც, ყველას თავის მიაგოთ.
ქრისტიანებს დღესაც გვმოძღვრავთ, სწორი გზებით ვიაროთ,
პეტრე, თომა, იოანე, ბართლომე და იაკობ,
ამ მინაზე თქვენი მოსვლა უფლის დიდი მადლია,
მათე, სიმონ, თადეოზი, ფილიპე და ანდრია.

ოლიკო ლომიძე.

ყურადღება, კონკურსი! გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურს პოეზიაში

საკონკურსო მასალა იგზავნება დევიზით (დევიზი უნდა მიეთითოს როგორც კონვერტზე, ასევე შიგთავსზე).

ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო ლექსები, მეორე კონვერტით - ავტორის გვარი და სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების სათაურები (როგორც კონვერტზე, ასევე ლექსებზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოს წევრებისა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დაწესებულია პრემიები:

პირველი პრემია - 1500 ლარი - ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისგან;

მეორე პრემია - 1000 ლარი - კერძო პირის ელდარ ალიევისაგან;

მესამე პრემია - 800 ლარი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან;

მეოთხე პრემია - 400 ლარი - თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან.

საკონკურსოდ იგზავნება მხოლოდ გამოუქვეყნებული ლექსები არა უმეტეს ხუთისა, ნაბეჭდი ფორმით.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება სოფელ რუსთავში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე - შოთაობაზე“.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2024 წლის 10 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე;

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა №3. გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.

მათ ვისაც შეიძლება ეხებოდეს

ჩემს სანოტარო ბიუროში შემოსულია განცხადება სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან, სადაც ითხოვენ აწ გარდაცვლილი მოქ. ვერა ვარლამოვას (გარდაცვლილი 2021 წლის 12 დეკემბერი) საკუთრებად აღრიცხულ უძრავ ქონებაზე მდებარე ქ. ბორჯომში, მესხეთის ქუჩა №35-ში, მეორე სართულზე არსებული 9.60 კვ.მ. შიდა ფართის ს/კ 64.23.01.920.01.505. როგორც უმკვიდრო ქონებაზე, მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემას, სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირების მიზნით.

თუ ვინმეს პრეტენზია გაგაჩნიათ აღნიშნულ ქონებაზე, გთხოვთ, მობრძანდეთ ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქუჩა №145-ში მდებარე სანოტარო ბიუროში.

ნოტარიუსი **სალომე გვარჯალაძე**”

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს გოგეშვილების ოჯახს ბორჯომელთათვის პატიცსაცემი და საყოველთაოდ განთქმული პროფესიონალი ექიმის **თემურ გოგეშვილის** გარდაცვალების გამო.

ღმერთის არსებობას იწამებ...

საქართველოს ასაკის დასადგენად, ნამეტანი ღრმად უნდა ჩავყვინთოთ... ეს ქვეყანა რამდენი საუკუნეა დგას! ვინ არ შემოესია, ვინ არ დაიპყრო, ვინ არ სცადა მისი აღგვა მიწისაგან პირისა, მაგრამ ამაოდ...

დევიდ მარშალმა თქვა და შეგახსენებთ: „საქართველოს ისტორიას რომ გაეცნობი, ღმერთის არსებობას იწამებ, რადგან არანაირი ობიექტური მიზეზი იმისა, რომ ქართველ ერს აქამდე მოეღწია, არ არსებობსო!“ ნავიდეთ სიღრმისკენ... აიეტი იყო მეფე და ცხადია, ჰქონდა სამეფოც.

კლასიკური მწერლობის მიხედვით, ცხოვრობდა ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში, აიეტი იყო ძლიერი და მკაცრი მეფე, მან კოლხეთი იმ დროის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. მანვე ჩამოაყალიბა კოლხეთის პირველი მუდმივი არმია, ფლოტი და მეეტლეთა გვარდიები.

აია-კოლხას ტერიტორიაზე ჩვენი წინაპრების გარდა სხვა ხალხებისა და სხვა სახელმწიფოების კვალი არ იკითხება არც წერილობით წყაროებში და არც არქეოლოგიური მასალებით, რომ აღარაფერი ვთქვათ დნმ მონაცემებზე.

ასე რომ, გინდა-არ გინდა, მხოლოდ სახელმწიფოებრიობის 3,500 წლოვანი ტრადიცია გვაქვს და უნდა შევიფეროთ!

როგორც ქვეყანაც, კიდევ უფრო შორს მიდის ჩვენი ისტორიული ძირი, რადგანაც ევრაზიის მასშტაბით თითქმის ერთადერთი ავტოქთონი მოსახლეობა ვართ უწყვეტი კულტურის ტრადიციებით - ვაზი რომ მოაშენა და ღვინო დაწურა, იმ ხალხის პირდაპირი შთამომავლები ვართ - მინიმუმ 8,000 წელი!

საქართველო: ფართობი - 69 700 კმ, მოსახლეობა - 3. 736 400. მრავალჭირნახული პატარა ქვეყანა დიდი სატკივარით...

ხატია აკოფოვის წარმატება

ბორჯომის სასპორტო სკოლის კიკ-ბოქსინგის სპორტსმენმა ხატია აკოფოვმა, დამწყებ პროფესიონალ მებრძოლთა შორის, პირველი ადგილი დაიკავა და ჩემპიონის ქამარი მოიპოვა.

ბორჯომში ფეინთბოლში ჩემპიონატი გაიმართა

საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით, ბორჯომში ფეინთბოლში ჩემპიონატი გაიმართა.

ჩემპიონატში მონაწილეობდა 11 გუნდი და 45-მდე ახალგაზრდა.

ბორჯომის ფეინთბოლის ჩემპიონატში გამარჯვება გუნდმა „13 BB“ “მოიპოვა. გამარჯვებული გუნდი საქართველოს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

ბორჯომში ფეინთბოლის ჩემპიონატი მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების და საკრებულოს ფრაქცია „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველოს“” თავმჯდომარის მოადგილის **მამუკა სიმონიშვილის** ორგანიზებით გაიმართა.

ფეინთბოლში ჩემპიონატის ჩატარების მიზანია ახალგაზრდების ჩართვა ექსტრემალურ სპორტში.

ტურნირი 2012 წელს დაბადებულ სპორტსმენებს შორის

(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ბორჯომი 2013“-ის ორგანიზებით და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, 23-30 ივლისს გაიმართება ბავშვთა ფეხბურთის შესანიშნავი მწვრთნელის ჯუნგლი ქართველიშვილის სახელობის ტურნირი 2012 წელს დაბადებულ სპორტსმენებს შორის.

ტურნირში მონაწილეობს რვა გუნდი:

ბორჯომის „ბორჯომი“, ბორჯომის სასპორტო სკოლა, ბათუმის „დინამო“, ფოთის „ფოთი“, „თენგიზ სულაქველიძის აკადემია“, გორის „გორი“”, ადიგენის „ზარზმა“ და ხაშურის „ივერია“.

ტრისტან სარალიძის გახსენება

დაცარიელდა სცენა, დაბლა დაეშვა ფარდა,
შენი ცხოვრება ტრისტან, მართლა ლეგენდას გავდა.
ერთი სოფლელი ბიჭი, მონატრებული სწავლას
ბებოს პენსიის ფულით, ესტუმრე თბილის-ქალაქს.
თეატრალურზე შესვლა გადაწყვეტილი გქონდა,
თუმცა ჯიბეში ყმანავილს, გროშიც არ გიჭყიოდა.
არა, და რა დრო იყო, აღებ-მიცემის ხანა,
თეატრალურზე სწავლა ადვილი იყო განა?!
თუმცა ვარსკვლავი შენი მაინც გაბრწყინდა ცაზე
და შენც გაჰყევი ბილიკს დიდი ცხოვრების გზაზე.
დიდი არტისტიც გახდით მონდომებით და შრომით,
ხალხს თავი შეაყარე სცენაზე დაღვრილ ოფლით.
გზას გინათებდა სცენისკენ ფარაჯანოვი სერგო,
შენგელაიას ფილმში კი, „გიგილოს‘‘ როლი გერგო.
შენც დაიმკვიდრე ადგილი დიდ კორიფეთა გვერდით,
დიდი „ხორავა‘‘ გმოძღვრავდა, მართლაც და, „სცენის ღმერთი“
შოთა რუსთველის თეატრს შენც ემსახურე გულით,
არ გაგიზომავს არასდროს კაცობა ოქრო-ფულით.
მეგობრობა და ძმობა მიგაჩნდა გზად და ხიდად
და ამ გზით მოდიოდი შენი გაჩენის დღიდან.
„გიგილო‘‘ შენი გმირი, კი დღესაც ღიმილს გგვრის ყველას,
თუმცა ვერ ფანტავს ღიმილი, გულზე მოწოლილ სევდას.
და გიხსენებენ დღეს ღვინით, დიდ არტისტს მეგობრები,
ახალდაბა და თბილისი, და შენი ბორჯომლები.

ჯემალ ბიბილური

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.

იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.

WWW. colorgroup.ge

borjomipress9@gmail.com რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

ნომრის პასუხისმგებელი მორიგე: რუსუდან სხირტლაძე

კორექტორი: ნანა კევლიშვილი